# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 415

„30" ოქტომბერი 2015 წ

ქ. თბილისი

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის, კომისიის თავმჯდომარის, კომისიის თავმჯდომარის მოადგილის დანიშვნისა და კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 სექტემბრის N93 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 63-ე მუხლის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის, კომისიის თავმჯდომარის, კომისიის თავმჯდომარის მოადგილის დანიშვნისა და კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 სექტემბრის N93 განკარგულებაში და განკარგულების მე-4 პუნქტით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთავე.

3. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე                    გიორგი ალიბეგაშვილი

*დანართი*
*დამტკიცებულია*
*ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს*
*2015 წლის 30 ოქტომბრის №416 განკარგულებით*

## ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შემადგენლობა

1. ბექა ნაცვლიშვილი (თავმჯდომარე)
2. თარაშ შურღაია (მოადგილე)
3. კობა კობალაძე
4. სოფიო დოღონაძე
5. კარლო ლაფერაძე
6. ოთარ ნემსაძე
7. ლევან სანებლიძე